№ 47. 29 ნოემბერი (11 დეკემბერი) 1870 29 ნოემბერი (11 დეკემბერი) № 47.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეხუთე.

გაზეთის ფასი

Თფილისში და გარეშე ადგილებში:	Გაგზავნით	Გაუგზავნელათ:
ერთის წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევრის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2
ერთის თვისა	— 1 —	— — — „ — 75 კ.
ერთის ნომრისა		— — — „ — 15 კ.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივ ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით ერთზე 1/2 კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

Თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ნ. ამატუნის სახლში.

Თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — ლ. ლოლუასთან — პოლიციის ქუჩაზე, მელქონ პალიევის სახლში.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

ხელის მოწერა „დროებაზე“ შეიძლება

Თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ნ. ამატუნის სახლში.

ქუთაისში — ბერასიმე ალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლუარსაბ ბოლოუასთან.

Თფილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-°.

ხელ-მოსაწერი ფასი:

	გაუგზავნელათ: მან.	კაპ.	გაგზავნით: მან.	კაპ.
ერთის წლისა Თფილისში და აგრეთვე გარეშე ადგილებში	6	„	7	„
ნახევრის წლისა	3	50	4	„
სამის თვისა	2	„	2	50
ერთის თვისა	„	75	1	„

მომავალს ხელის მომწერლებს უმორჩილესად ვსთხოვთ დაბარებისა თანავე გამოგზავნონ რედაქციაში გაზეთის ხელმოსაწერი ფასი და გარკვევით დაწერილი თავიანთი ადრესი.

შინაარსი

„დროების“ გამოცემაზე მომავალს 1871 წელსა.—საქართველო („დროების“ კორრესპონდენცია—სამეგრელოდგან,—საზოგადო და საკითხავი ოთახი Თფილისში,—წვრილი ამბები,—ქართული შინაური წარმოდგენა).—რუსეთი (წვრილი ამბები).—უცხო ქვეყნები (პარიჟის ტრაქტატის დარღვევაზე.)—ომის ამბები.—ნარეევი.—განცხადება.—ფელეტონი: ბავშვების მოვლა მადაგასკარზე (ნ. სკანდელისა).

„დროების“ გამოცემაზე მომავალ 1871 წელსა

ბაასათ „დროება“ იმავე პროგრამმით და ფორმა ვადაზე გამოვა, როგორც აქამომდე გამოდიოდა. ამ საგანზე ეს მოკლე განცხადება საკმაო უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ამ უკანასკნელ დროს, მკითხველებისაგან ზოგიერთი შენიშვნები მოგვდის, რომელზედაც ჩვენ ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ.

წლეულანდელმა ომმა ცოტათი არ იყოს ჩვენი მკითხველებიც გაართო: იმათ ქვეყნის ამბების შეტყობა მოუნდათ, მოუნდათ ამ ამბების გაგება და ახსნა. და როცა, ამ სურვილის ასასრულებლათ, იმათ „დროებას“ ხელი მოჰკიდეს, გამოჩნდა, რომ ამ გაზეთს არც დეპეშები მოსდის პეტერბურგიდან, არც ევროპის სხვა და სხვა ქალაქებში და მეზობარ ჯარებში კორრესპონდენტები ჰყავს, არც ხეირიანი პოლიტიკური „მიმოხილვა“ აქვს. ერთი სიტყვით, ამ გაზეთს გაზეთის სახელიც ძლივს ეღირსება.

ქართულ ენაზე სხვა გაზეთი რომ სადმე ყოფილიყო, ცოტათი მაინც უმჯობესი, მკითხველი „დროების“ უხეირობას მალე დაივიწყებდა. მაგრამ ამ ცხარე დროს, როცა ყოველგან ომზე და პოლიტიკაზეა ლაპარაკი, მკითხველი მაინცა და მაინც „დროებას“ უნდა დაბრუნებოდა, და ეს გარემოება უფრო და უფრო აწუხებდა მის გაფხიზლებულ სურვილს. აი, ამ მიზეზით, „დროებას“ ყველა მხრიდან სამდურავი, უკმაყოფილება და საყვედური მოსდის.

ის კი არავის გახსენებია, რომ გაზეთის ბედი და სიკეთე იმ საზოგადოების ხასიათს ეთანხმება, რომელშიაც გამოდის ეს გაზეთი. არც ერთ ჩვენ მკითხველს არ მოსვლია აზრში, რომ გაზეთი ჰაერით კი არ ივსება და ცხოვრებს,—მის ღონეს მხოლოდ საზოგადოების დახმარება შეადგენს. და თუ კი საზოგადოება თავის სიკუთარ სიტყვიერებას არ დასდევს და გულგრილათ ექცევა, იმას გაზეთების და მწერლების შეურაცხყოფის სიმართლე აღარ აქვს, თუ „უხეირო“ გაზეთს ჰპოულობს, როცა ერთბაშათ გაზეთი სჭირდება...

გაზეთის საქმე ისეთია, რომ მისი გაუმჯობესობა პირდაპირ მკითხველ საზოგადოებაზე ჰკიდია. გაზეთი ისეთ რიგათ უნდა იყოს გამართული, რომ ყოველი შესანიშნავი ახალი ამბავი თავის დროზე მოდიოდეს, და გაზეთში შესაფერ ახსნას და დაფასებას ჰპოულობდეს. ამას კორრესპონდენტები უნდა, ტელეგრაფი, თანამშრომლები;—ამ საგნებს დიდი ხარჯი ეჭირება, და ამ ხარჯს მხოლოდ ის გაზეთები ასდიან, რომელთაც ხელის-მოწერლები ბლომათა ჰყავთ. ამის გამო ყოველი გაზეთი მით უფრო კეთდება და თავის მკითხველებისთვის სასარგებლოთ გამოდის, რაც უფრო და უფრო დიდდება მისი მკითხველების რიცხვი.

მაშასადამე, ჩვენი მკითხველისთვის გასაკვირველი როდი უნდა იყოს ჩვენი გაზეთის ნაკლულევანება: ამ ნაკლულევანების მიზეზი ჩვენი მკითხველი საზოგადოების სიმცირე და დაუდევნელობა გახლავთ.

გასაკვირველ საქმეთ მკითხველს სულ სხვა რამე უნდა მიაჩნდეს: მართლაც, იმ დროს, როცა მთელი ქვეყანა კანს იცვლის და როცა ჩვენ საკუთარ ცხოვრებაში ისეთი შესანიშნავი ცვლილებები ჰხდება, რომლის მსგავსი საქართველოს ჯერ არა უნახავს რა, ჩვენი საზოგადოება უწინდელურათ უდარდელათ, უთავბოლოთ [illegible]ოვრებს და თავის თავიდან ყოველ ფიქრს და აზრს გამწარებულათ სდევნის. იმ დროს, როცა ეს საზოგადოება ფხიზლათ სხვა ხალხების ცხოვრებას და ხასიათს უნდა აკვირდებოდეს, და თავისი საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესობას უნდა სცდილობდეს, ის მამაპაპისეულათ ხერინავს, და მის დამკვირვებელ პირებს იქნება სრულიად უსაფუძვლოთ კი არ გამოუთქვამთ ის აზრი, რომ „ქართველი კაცი ფიქრს ვერ შეეჩვევაო...“ აი რა უნდა აკვირვებდეს ჩვენ მკითხველს, და არა იმ გაზეთის ნაკლულევანება, რომელიც ამისთანა საზოგადოებაში იბეჭდება...

ჩვენ გვემდურიან, ჩინებული კორრესპონდენციები და დეპეშები რატომ არ მოგდითო, რატომ კარგ „მიმოხილვებს“ არ ბეჭდავთო. სამდურავი ადვილი გამოსათქმელია, მაგრამ ადვილათ გამოთქმული სამდურავის დაბრუნებაც ადვილია: გაზეთის ნაკლულევანების მიზეზი ისაა, რომ ჩვენი ხელის მომწერლების რიცხვი გაზეთის გაუმჯობესობის ნებას არ გვაძლევს. ჩვენი ბრალია ეს, თუ არა—ამის გარჩევა ჩვენ მკითხველისთვის მიგვინდვია...

რაღა თქმა უნდა, რომ გაზეთის მიმართულებაში ცვლილება არ მოხდება. და რაც კი

ფელეტონი

ბავშვების მოვლა მადაგასკარზე

(ფანტაზია)

ელხოს მეოთხე ლექცია: ბავშვის ხასიათის გაწვრთნაზე

„მოწყალენო ხელმწიფენო და ქალბატონნო!

„ბავშვის ხასიათის გაწვრთნით ჩვენ ჩვენეული ბავშვების მოვლა უნდა დავაგვირგვინოთ, ისე, რომ ბავშვი ხასიათითაც იმნაირათ სუსტი და ნაზი გამოვიდეს, როგორც გონებით და ტანის სიმრთელით გამოდის ჩვენი ხელიდან.

„ამ მიზნის მისაწვენათ აუცილებლათ საჭიროა, რომ ერთათ შეკრებილ ბავშვებს შუა ბავშვიდანვე განყოფილება და ერთმანერთის ზურგი დავთესოთ. ეს გრძნობა მით უფრო საჭიროფასია ბავშვების მოვლის დროს, რომ ბოლოს ძისი შემწეობით შესაძლებელია ყმაწვილის ხასიათის ჩვენებურათ გაწვრთნა...

+

„უნდა იცოდეთ, რომ ბავშვების ამხანაგობა და ძმური ცხოვრება მეტის მეტათ ახდენს ბავშვის ხასიათს. ყმაწვილები ერთმანერთის დახმარებას, ხელის გაწყობას და ერთი მეორეს-თვის თავის გამოდებას ეჩვევიან. ეს გარემოება ძლიერ სავნებელია ჩვენებური მოვლისთვის, რადგანც მომვლელის ნების დაუკითხავათ, ხანდისხან მის წინააღმდეგაც, ბავშვები საკუთარ ძალას პოულობენ, და შიგ ცხესავით მაგრდებიან...

„ჭკვიანმა კაცებმა კარგათ იციან, რომ ციხის ასაღებლათ ყველაზე უფრო სახეირო საქმე—ციხის დამცველებში მეგობრის გაჩენაა. ამისთანა მეგობარი სისხლის დაუღვრელათ გაგვიღებს ციხის კარს და თავისუფლათ შეგვიშვებს მტრის ბანაკში.—ჩვენც ეს ჭკვიანური გამოცდილება სახეში უნდა ვიქონიოთ, თუ მიზნათ ბავშვის სრული დამორჩილება გვაქვს.

+

„ჭკვიან და გამოცდილ გოტენტოტს ერთი თვალის გადავლება ჰყოფნის ჯგუფათ შეკრებილ ყმაწვილებზე, მათში ბაზენისთანა ბავშვების ამოსარჩევლათ. ამორჩეული ბავშვი მომვლელმა ნელ-ნელა, ალერსით, საჩუქრით, ტკბილი გამოკითხვით უნდა მიიჩვიოს, და ზოგჯერ წყრომით, ზოგჯერ დაჯილდოვებით, ხან ხუმრობით და გაკვრით ამბის მოტანას შეაჩვიოს, იმ რიგათ, რომ მომვლელმა ყოველიფერი იცოდეს, რასაც კი ბავშვები შვრებიან, ამბობენ და ფიქრობენ. ამ ნაირათ მომვლელი—ცოტა ხნის განმავლობაში—თავისი ბავშვების ხასიათს და მიდრეკილებას საუცხოოთ გაიცნობს.

„და რაკი იმას კარგა დაწერილებით ეცოდინება ბავშვების ზნე და აზრები, მისი პირველი ვალია მათ საქციელს კვალში ჩაუდგეს, და ნელ-ნელა, ჩუმ-ჩუმა, კვანტი მოუდოს იმ ბავშვებს, რომელნიც დაუმორჩილებელი ხასიათით და თავისუფალი აზრებით დანარჩენ ყმაწვილებს ცუდ მაგალითს აძლევენ.—ამ ნაირ ყმაწვილებს მომვლელმა რამე მიზეზი უნდა უპოვოს და სასწავლებლიდან ფეხი ამოადგმევინოს.

+

„ამ ნაირათვე უნდა მოექცეს მომვლელი იმ ბავშვებსაც, რომლის დედმამა და ნათესავები ცუდი ან ახირებული აზრის არიან ბავშვების მოვლაზე, და რომელთაც, ამ მიზეზით, სასწავლებელში ხანდისხან ცუდი, ევროპიული აზრები შემოაქვთ ბავშვების მოვლაზე და მომვლელის ყოფაქცევაზე...

+

„თუ მომვლელს თავში ერთი იოტა ჭკუა და მოხერხება აქვს, ამ ნაირი მოქმედებით ის თავის სასწავლებელს ძლიერ ჩქარა იმ რიგათ გასწმენდს, რომ შიგ მშვიდობიანი, მორჩილი და ნორჩი ბავშვების მეტი არავინ დარჩეს.

+

„მაშინ, გაწმენდილ და გაბანილ სასწავლებელში მომვლელმა ხელმძღვანელათ მუდამ ორი აზრი უნდა იქონიოს.

„პირველი აზრი ისაა, რომ ბავშვი თავის ჭკუით და თავის გრძნობისამებრ არ იქცეოდეს, და ყოველ თავის მოქმედებას მომვლელის სურვილს ათანხმებდეს.

„თუ მომვლელი ხეირიანი გოტენტოტია, ის ძლიერ მალე იქამდინაც მიაწვევს, რომ მის ბავშვებს არც აზრი მოსდიოდეს თავში, არც გრძნობა ენთებოდეს გულში.

+

„მეორე აზრი ისაა, რომ ბავშვსა და დანარჩენს ქვეყანას შუა მომვლელმა გაუმჭვრეტელი კედელი უნდა გაავლოს, ისეთი, რომ არც ქვეყანა ხედავდეს სასწავლებელში რა ამბებია, და არც ბავშმა იცოდეს სასწავლებლის გარეთ რა, როგორ და რისთვის ცხოვრობს.

+

„ეს უკანასკნელი აზრი ჩვენებური სწავლის ბურჯათ უნდა გვქონდეს, ამიტომ რომ ჩვენი მიზნის მისაწვენათ საჭიროა, რომ ყმაწვილი ქვეყანას და ცხოვრებას არ იცნობდეს და—მაშასადამე—ქვეყანაში და ცხოვრებაში არ ვარგოდეს.

„თავდაპირველათ, ჩვენ კედლის ამოყვანა ძლიერ გვეჭირდა. ერთის მხრით დედმამას სურ-

გაზეთის სისრულეს შეეხება, ჩვენ, რაც შეგვიძლია, ვეცდებით მკითხველს ეხლანდელი ცხოვრება და საზოგადო საქმეების მდგომარეობა წარმოვუდგინოთ. და თუ, წელან მოთელილი მიზეზებით, ჩვენ ახალი ამბების სისრულეს ვერ დავპირდებით, იმის თქმა კი შეგვიძლია, რომ ხანდისხან ჩვენ გაზეთში სხვა გაზეთებიდან გამოკრებილი ახალი ამბები იმ რიგათ დაწყობილი და ახსნილი იქნება, რომ მკითხველს მათი გაგება და მათი მნიშვნელობის დანახვა გაუადვილდეს.

საქართველო

სამეგრელოდგან

(„დროების“ კორესპონდენცია)

ჩვენდა სამხიარულოდ, ჩვენს დროებაში, სწავლამ ისეთი სხივები გამოისხა და ისეთი ძალა მიიცა, რომ ყოველი კაცი, დიდი თუ პატარა, ბებერი თუ ყმაწვილი, ნასწავლი თუ უსწავლელი, ქალი თუ კაცი, სულ იმაზედ ლაპარაკობს. მართალია, ბევრს მათგანს სწავლის ღირსება ისე არ ეყურება, როგორც უნდა; მაგრამ, მაინც იმაზე ჰფიქრობს: ჰფიქრობს, ჩემი შვილი როგორ გაეზარდო სწავლაშიო, რომ კარგი კაცი გამოვიდესო, რადგანაც ის კარგს კაცებს ჰპოებს მსწავლულ კაცებში. ის თავის ფიქრს მარტო თითონ არ ინახავს გულში, არამედ სხვებსაც უცხადებს და ეუბნება, მოდი და ამ ჩვენს სოფელში სასწავლებლის სახლი ავაშენოთო, მასწავლებლები მოვიწვიოთო და ჩვენი შვილებისთვის ვასწავლებინოთო. ეს სწავლის სარგებლობის მიხვდომაა იმის მიზეზი, რომ ამ ჩვენს დროს ხალხმა ბევრს ალაგს, თავის ნებითა და ხარჯით, სასწავლებლები გაძართა თავიანთ სოფლებში. სოფლებში შკოლების გახსნა და მათი განმრავლება გვიმტკიცებს იმასა, რომ სწავლას თანაუგრძნობს ჩვენი ხალხი და რადგანაც თანაუგრძნობს, სცდილობს კიდეც თავის შვილებს მიაღებინოს ისა. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ჩვენ საქმეებს, რომელიც დაადგინა სამეგრელოს სასულიერო წოდების დეპუტატთ ყრილობამა ამ ორის წლის განმავლობაში.

დეპუტატთ ყრილობა სამეგრელოში, სოფელს მარტვილს იყო ორჯელა: წელსა და შარშან 1869 წ. მე არ შემიძლიან ვთქვა, რომ ყველა მათგანს სწავლის საჭიროება და ღირსება ისე ეყურებოდეთ, როგორც რიგია და როგორც შეშვენის თვით სწავლასა; მაგრამ მათმა საქმემ კი დამტკიცა, რომ სწავლის წარმატება ძლიერ სდომებიათ თავიანთი შვილების კეთილდღეობისათვის. დიდი ხანი არის, რაც მარტვილში სასურიელო სასწავლებელი იყო, მაგრამ სანამ პატიოსანმა კრებამ არ მოინდომა და არ ეცადა, სასწავლებელი ვერ გაუკეთესდა, არამედ, საშუალობის უქონლობითა, სამ კლასიანი სასწავლებელი ბევრჯელ ორკლასიანათ გადაქცეულა. ახლა კი, 1868 წ. უმაღლესად დამტკიცებული კანონების ძალით, რომლებმაც სამღვდელოებას მიანდეს თავიანთი შვილების აღზრდაზე ზრუნვა, ეს სასწავლებელი გაუმჯობესდა და თან და თან სისრულეში შევიდა. შარშანდელმა პირველმა კრებამ აღმოაჩინა წყაროები, რომელთ საშუალებით გამოითხოვეს უმჯობესნი მასწავლებელნი ამ სასწავლებლისათვის და დაინახეს რა საჭიროდ მეოთხე კლასი, გახსნეს და, რასაკვირველია, მისთვისაც ღირსეული მასწავლებელნი მოითხოვეს მთავრობისაგან. ამ გარემოების აღმწერმა კორესპონდენტმა, „დროების“ 7 №-ში, წინეთვე გამოაცხადა, რომ მეგრელებისთვის ოთხ კლასიანი სასწავლებელი არა კმარაო; მართლაც, როცა პატივ საცემ მამათა ნახეს ნამდვილი ნაყოფი ამ სასწავლებელისა,—ყველამ თანაუგრძნო მას და, ვისაც შვილი არა ჰყვანდა, აწ სულ ყველამ აქ გამოგზავნა და, რასაკვირველია, ამის გამო მოწაფეების რიცხვი ისე გამრავლდა, რომ სასწავლებლის შენობაშიაც აღარ დაეტევნენ. ამისათვის სასულიერო სასწავლებლის სასამართლომ წინა დაუდვა ახალს წრეანდელს ყრილობასა, რომელიც იყო 21-ს სექტემბერსა, აეშენებინათ სახლი, გაეხსენათ ახალ შემოსულებისათვის მოსამზადებელი კლასი და მის მასწავლებლისათვის დაენიშნათ ჯამაგირი.

ამასთანავე ზოგს მასწავლებლებს ჰქონდათ ძალიან მცირე ჯამაგირი; და მისთვისაც მოემატებინათ რამდენიმე. დეპუტატთ ყრილობამ განიხილა ყველა ესენი და კიდევ სხვებიც, აღმოაჩინეს მისთვისაც წყაროები, გახსნეს მოსამზადებელი კლასი, დაუნიშნეს მასწავლებელს ჯამაგირი, მაგრამ რადგანაც ზამთარმა უსწრო, სახლი კი ეღარ მოისწრეს და დასდვეს გაზაფხულზედ ააშენონ. იმედია, რომ მესამე და მეოთხე კრება მომავალის წლებისა კიდევ უფრო სისრულეში შეიყვანს ამ სასწავლებელსა და მოსპობს ყოველს დამაბრკოლებელ მიზეზსა, რომელიც აწინდელს დროს უშლიან ყმაწვილებს სწავლასა.

Дავით Ბარნაბისშვილი

Მარტვილი 16 ნოემბერს.

სამწიგნობრო და საკითხავი ოთახი თფილისში

ამ თვის ცხრამეტს, ხუთშაბათს, დილის ცხრა საათზე, თფილისში საკვირველი, გასაოცარი საქმე მოხდა: ფოჩტის ქუჩაზე, სემინარიის პირდაპირ, ზუბალოვის სახლში, სამწიგნობრო და საკითხავი ოთახი გაიხსნა!

ეს საქმე ჩვენ გასაოცრათ აი რა მიზეზით მიგვაჩნია. საკითხავ ოთახში რომ შეხვიდეთ, მაშინვე დაინახავთ რომ მისი გამართვა, მისი გაწყობილება და მორთულობა, ოცდა ოთხი თუ ხუთი სხვა და სხვა ნაირი ჟურნალი და გაზეთები და ათასზე მეტი ძველი და ახალი წიგნები, სამწიგნობროს გამმართველს, უფ. Ივანოვს, დიდ-ძალ ფულათ დაუჯდებოდა. ამ საქმეს ასი და ათასი მანეთით კაცი ვერ აუვიდოდა. და ფულს რომ თავი დავანებოთ, სამწიგნობროს და საკითხავი ოთახის გაწყობა და რიგიანათ გამართვა მეტის მეტს შრომას მოინდომებდა.

მაშ როგორ არ უნდა უკვირდეს კაცს, რომ ჩვენ ქვეყანაში, ჩვენ თვალს წინ, ისეთი უცნაური კაცი მოძებნილა, რომელსაც ფული ჰქონია და შრომაც არ ზარებია, და რომელიც ამ ფულს—ჩვენებური ჩვეულებისამებრ—თუმანზე აბაზათ და ხუთ შაურათ არ ასესხებს, და ამ შრომას კარგ შემოსავლიან ადგილს არ იყენებს? იმას შეეძლო ვალში ჩავარდნილ აზნაურებისთვის ანა და მობეგრე გლეხებისთვის, კარგი მაგარი თამასუქით, ფული ხუთ-ხუთ, და ათ-ათ თუმნობით გაესესხებინა და შემოსული სარგებელი უშრომოთ და უდარდელათ დაარჩენდა. ამის მაგიერათ, ამ უცნაურ კაცს სამწიგნობროს გამართვა ურჩევია!...

რაა სამწიგნობრო? რა ხეირს მისცემს ის უფ. Ივანოვს?

იმ ქვეყნებში, საცა საზოგადოება მარტო სმა-ჭამას და ძილს არ უნდება, და რომელიც ფიქრობს და გრძნობს რასმე, კაცი და ქალი უწიგნოთ, უგაზეთოთ ვერ სძლებს. და რადგანც ყველას თავისთვის ყველა საჭირო წიგნების ყიდვა და გაზეთების გამოწერა არ შეუძლია, იქ ისეთი სამწიგნობროები იმართება, საიდანაც კაცს რამდენიმე დღის ვადით წიგნის შინ წაღება შეეძლოს; ზოგან, ამ ნაირ სამწიგნობროსთან ისეთი ოთახიც იმართება, საცა გაზეთების თვალის გადაკითხვა და ახალი წიგნების და ჟურნალების წაკითხვა შეიძლებოდეს.

განათლებულ ქვეყნებში ამისთანა სამწიგნობროს და საკითხავ ოთახებს ბევრი მკითხველი ჰყავს და დიდი, დაუთვალავი სარგებლობა მოაქვთ. ეს მართალია. მაგრამ ჩვენ თფილისში, ეის რათ უნდა უნდოდეს წიგნი და გაზეთის კითხვა, და საკითხავათ-უფ. Ი ნოვი ფულსა და დროს ვის გამოამეტინებ საიდან და ვისგან ელის ის სარგებლობას ხეირს, და რისთვის, რათ ღუპავს ის თა ფულს უსარგებლოთ (სამშაურზე ნაკლებ სა გებელს ხომ სარგებელი არ ჰქვია)?...

ჩვენ დიდხანს ვფიქრობდით ამ საგანზე, გრამ ამ კითხვის ახსნა მაინც ვერ შეეძელ „უცნაური კაცი!“—ვამბობდით ჩვენ, სწიგნობროდან რომ გამოვდიოდით, უფ. ნოვის ნახვის შემდეგ—„ფული მაგას ჰქონ ცოდნაც არ ჰკლებია; რომ მოინდომებინა, ნებულ ადვოკატათ გამოდგებოდა და წელ წადში ხუთასს თუმანს მაინც გლეხებზე გაა შებდა... ეხლა კი... არა, ახირებას ბევრი შესძლებია!...“

ასე ვფიქრობდით ჩვენ, უფ. Ივანოვის მწიგნობროდან რომ გამოვდიოდით; და მარ ლი ვთქვათ, სრულიადაც არ ვწუხდით ერ შაურის დახარჯვას, რომელიც ჩვენ საგნ ნობროში შესვლისათვის და გაზეთების წა თხვისთვის გადაგვახდევინეს.

ან შაური რათ უნდა დანანდეს კაცს, თუ ფასათ ამ ნაირი ახირებული და გასაოცარი ცის და საქმის ნახვა და გაშინჯვა შეუძლ

ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ დიდი მ ვარი ნამესტნიკი ამ თვის 17-ს დილის შ საათზე შებძანებულა პეტერბურღში.

* * *

ჭუთაისიდგან იწერებიან „ქავკაზსში“ რ ამ უკანასკნელ დროსა ჭუთაისში რამდენ შემთხვევა ყოფილა ავაზაკობისა. ღამით ე აფიცერს შესვლია თოფიარაღით კაცი და ნალამ აფიცერი მოუკლავს. მეორე შემთხ ეპიზკოპოზთან- ყოფილა და ავაზაკები ო ჯერ მისულნა. პირველათ ერთი ყოფილა ფული უთხოვნია ღარაბი ვარო, ამასობ ეპისკოპოზს დაუძახნია კაცებისთვისა და ქ დი გაქცეულა. იმავ ღამეს სამს საათზე კი მისულან და სხვა რო ვერა მოუხერხებ რა, ორჯელ უსროლიათ ფანჯრებისთვისა; ა ვის კი არ მოხვედრია. ამბობენ რომ ეს ა ზაკები ბევრნი უნდა ყოფილიყვნენო, არ კი არ დაუჭერიათ.

* * *

ამ ჟამათ ქალაქშიაც და როგორც გეს ქართლ-კახეთშიაც მშრალი დარებია, ა წვიმაა და არც თოვლი. სოფლის ხალხი შობს თავვის გამრავლებასა და ხნ წახდენასა.

* * *

ესაა ჩვენებური სწავლის და მოვლის მიზანი, და ჩვენ მეტის მეტათ კმაყოფილი უნდა ვიყოთ, რომ გამოვძებნეთ ამტენ ხანს უპოვნელი საშუალება—საფლავის კარამდი კაცში ბავშვობის შენახვა.

+

„მე შეეასრულე ჩემი დანიშნულება, რადგანც ჩვენებური მოვლის უმთავრესი აზრები მოგითვალეთ. თქვენ კარგათ უნდა იცოდეთ, მოწყალენო ხელმწიფენო და ბატონებო, რომ უდროობის და სხვა მიზეზების გამო, მე ჩემ აღსნას საკმაო და საჭირო სისრულე ვერ მივეცი. მაგრამ, მე იმედი მქონდა და ეხლაც კიდევა მაქვს, რომ ჭკვიანი და გონიერი კაცისთვის აზრის დაღეჭვა და პირში ჩადება საჭირო არაა. იმისთვის საკმაოა ყური მოჭრას ხეირიან აზრს. დანარჩენს ის თვითონ მოიაზრებს და გამოუთქმელ აზრის მიზანს თვითონ შენიშნავს.

„მაშასადამე, ეხლა მე ორიღა შენიშვნა დამრჩა, რომლის გამოთქმით მე შემიძლია მოკლეთ ჩემი ლექციების უმთავრესი აზრი და მნიშვნელობა დაგანახოთ. ეს ორიე შენიშვნა მომველელმა თავის ყოფაქცევის კანონათ უნდა იქონიოს.

+

„შენიშვნა პირველი

„ბავშვების მოვლაში ჩვენ ნიადაგ იმას უნ-

რემ შიგ თუ ჩავარდი, კაცი შენ ძვალსაც ვეღარ იპოვისო. ამ რიგათ ბევრი იქადაგეს, მაგრამ—ღვთის წყალობით ამ დაუდეგარ კაცებს ენა ძირში მოეჭრათ და ეხლა ჩვენი სწავლა საუკუნოთ მკვიდრ ბურჯზეა დაფუძნებული.

+

„მაშასადამე, რაკი სასწავლებელსა და დანარჩენ ქვეყანას შუა მთელი კედელია აყვანილი, ჩვენ ჩვენი მიზნის მიღწევა თავისუფლათ შეგვიძლია: ჩვენ დაუსვენებლათ უნდა ვცდილობდეთ, რომ ბავშვს გარეგანი ქვეყნის ამბავი არ ესმოდეს და მისი აზრების და მოქმედების ცნობა არ ჰქონდეს. მაშინ, და მხოლოდ მაშინ, ჩვენ, მომველელებს, დიდი და შეურყეველი გავლენა და უფლება გვექნება ბავშვებზე, და ჩვენი ბრძანება და აზრი, მათის მხრით, არც ერთ წინააღმდეგობას და დაუჯერლობას არ შეეყრება..

+

„ამ ნაირათ, ბავშვის ქვეყნიდგან მოცილებით და ოსტატური მოვლით, ჩვენ გამოვზრდით ისეთ ყმაწვილებს, რომელნიც სწავლის დასრულების დროს, ქვეყანაში ბავშური უმანკოებით და უცოდინარობით შევლენ, და მთელ თავის სიცოცხლეში ნიადაგ ბავშურ უმანკო და უცოდინარ ხასიათს შეინახვენ. —

და ბავშვების სწავლის დანახვა და დაკვირვება, მეორეს მხრით თვითონ ბავშვებიც ცხოვრების და ქვეყნის გარემოებას აკვირდებიან, როგორც ხამი კაცი უნახავ საგანს. მაგრამ ჩვენ ეს დაბრკოლებაც მალე მოვიშორეთ: ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ ქვეყანა და ცხოვრება მეტის მეტათ ბოროტი და საზიზღარია, და მაშასადამე, ვისაც ბავშვების სიკეთე და უმანკობა სურს, ბავშს ცხოვრებას არ უნდა აკარებდეს თქო.

+

„ეს უბრალო აზრი ჩვენი მშველელი და დამცველი გახდა, და მთელი ქვეყანა ერთბაშათ თავის ბოროტობაში და ბავშვების უმანკობაში დარწმუნდა. მართალია, ჩვენშიაც ორიოდე იმისთანა კაცი გამოჩნდა, რომელთაც ქადაგება დაიწყეს, რომ ვისაც სურს ბავშვი სასწავლებლიდგან გამოსვლისთანავე ცხოვრების ბოროტებაში არ ჩაიფლასო, ის ბავშს უნდა აფრთხილებდეს: აი ესა და ეს ბოროტებაა ქვეყანაზე, ღმერთი არ გაგიწყრეს შიგ არ გაერიო, თორემ ესა და ეს დაგემართებაო. ისინი ამტკიცებდენ, ბნელ ღამეში გამოსულ კაცს ჭაში ჩავარდნას ის კი არ ააცილებს, მისმა მეგობრებმა ჭა და მისი ალაგი რომ დაუმალონო; იმას კაცმა პირდაპირ უნდა უთხრას, ამა და ამ ალაგას თავ მოხდილი ჭაა, უფთხილდი, თო-

---

ესაა ჩვენებური სწავლის და მოვლის მიზანი, და ჩვენ მეტის მეტათ კმაყოფილი უნდა ვიყოთ, რომ გამოვძებნეთ ამტენ ხანს უპოვნელი საშუალება—საფლავის კარამდი კაცში ბავშობის შენახვა.

+

„მე შეეასრულე ჩემი დანიშნულება, რადგანც ჩვენებური მოვლის უმთავრესი აზრები მოგითვალეთ. თქვენ კარგათ უნდა იცოდეთ, მოწყალენო ხელმწიფენო და ბატონებო, რომ უდროობის და სხვა მიზეზების გამო, მე ჩემ აღსნას საკმაო და საჭირო სისრულე ვერ მივეცი. მაგრამ, მე იმედი მქონდა და ეხლაც კიდევა მაქვს, რომ ჭკვიანი და გონიერი კაცისთვის აზრის დაღეჭვა და პირში ჩადება საჭირო არაა. იმისთვის საკმაოა ყური მოჭრას ხეირიან აზრს. დანარჩენს ის თვითონ მოიაზრებს და გამოუთქმელ აზრის მიზანს თვითონ შენიშნავს.

„მაშასადამე, ეხლა მე ორიღა შენიშვნა დამრჩა, რომლის გამოთქმით მე შემიძლია მოკლეთ ჩემი ლექციების უმთავრესი აზრი და მნიშვნელობა დაგანახოთ. ეს ორიე შენიშვნა მომველელმა თავის ყოფაქცევის კანონათ უნდა იქონიოს.

+

„შენიშვნა პირველი

„ბავშვების მოვლაში ჩვენ ნიადაგ იმას უნ-

და ვცდილობდეთ, რომ ბავშვი ნაზს და ნ ნარს ცხოვრებას შეეჩვიოთ და მასთანავე ი ნაზათ და ნარნარათ ცხოვრების საშუალ მოუსპოთ, ისე, რომ უჩვენოთ იმას თა განაზებული ბუნების დაკმაყოფილება არ ეძლოს.....

+

„შენიშვნა მეორე

„ბუნიერ მომველელს ბავშვის მოვლა მ ლოდ საშუალებათ უნდა მიაჩნდეს, თავისი კუთარი საქმეების გასარიგებლათ და თა თავის გასამდიდრებლათ. ბავშვების სიკეთე მომავალი, მათი შემდეგი ბედი და უბედ მისთვის ჭანდრაკის პაიკებათ უნდა გადაქ და მომველელმა ეს პაიკები თავის სასარგ ლოთ, როგორც მის თამაშს მოუხდება, უნდა იხმაროს და ატრიალოს...

+

„დასასრულში ნება მომეცით ეისურვო თ ნი შვილებისთვის, რომ ღირს იქმნენ ოდეს ჩვენ დიდებულ მადაგასკარის კოროლევას ქვეშ მტვერი ჰკოცნონ, და მით სახელმწიფ უმაღლესს ადგილებს ეღირსონ.“

Მადაგასკარული ენიდან გადმოთარგმნა

ნ. Სკანდელ

ᲬᲠᲔᲣᲚᲡ კახელები ძალიან უჩივიან ღვინის ᲤᲐᲡᲘᲡᲔᲚᲝᲑᲐᲡᲐ. მეტადრე იმას უჩივიან, რომ ᲛᲬᲚᲔᲑᲘ გვიან მიდიან სასყიდლათა და თითᲝᲜᲘ ნახევარ ფასათა ყიდულობენ, რადგანაც ᲜᲐᲜ, რომ ღვინის პატრონებს დაჭირება ადᲓᲐ ფული არა აქვთ. მანამ კახეთში ვაᲞᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐ არ შემოსულიყო, თუ არ ᲠᲘ ღვინო, სხვა ღვინო არ გადიოდა. რაკი ᲠᲗᲛᲐ ღვინომ იკლო, ქალაქის ახლო-მაᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡ ღვინოსა და აგრეთვე ქარᲡᲘᲡ ღვინოსაც ფასი დაედო. ქალაქის სიᲛᲬᲚᲔᲑᲘ სოფლებიდგან ეზიდებიან და მანამ ᲠᲚᲔᲕᲐ კახეთისკენ არ მიდიან. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲖᲐᲛᲓᲜᲔᲜ, რომ კახელებს კამპანიები ᲣᲓᲒᲘᲜᲐᲗ და სირაჯის დუქნები დაეღოთ. ᲚᲐ რამდენიმე პადვალები აქვთ კახეთის ᲞᲝᲢᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐ. მაგრამ პადვალებს უფრო მეტი ᲠᲯᲘ აქვს და უფრო კარგი ღვინოებისთვისა ᲠᲗᲔᲕᲔᲜ. მყიდველიც არა გვგონია რომ ბეᲜᲘ ᲰᲧᲕᲐᲜᲓᲔᲡ. ქალაქში თუ ღვინო იხარჯება ᲔᲠᲝᲜ სირაჯის დუქნებიდამ იხარჯება, ვიდრე ᲓᲕᲐᲚᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ; მიზეზი ამისი ის არის, რომ ᲠᲯᲔᲑᲘ უფრო ნაკლებ ფასიან ღვინოებსა ᲘᲚᲘᲐᲜ. ᲐᲛ ჟამათ დაბალი ღვინო ქალაქში ᲘᲡ და ოთხი აბაზია სირაჯის დუქანში. ᲘᲡᲗᲐᲜᲐ ღვინო პადვლებში ექვსი ბაზია.ა

* * *

ᲬᲠᲔᲣᲚᲡ ᲓᲣᲨᲔᲗᲨᲘ იარმურკა ყოფილა და ᲠᲒᲝᲠᲪ "ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ„ კორრესპონდენტი იწᲔᲡ, კარგა საკმაოთ სავაჭრო ჩამოეტანათო. ᲠᲐᲛ მაინც უკმაყოფილებას აჩენს და იარᲘᲡ მოუხერხებლებას ქალაქის სიახლოვეს ᲞᲐᲚᲚᲔᲑᲡ. ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲐᲪ გამოვთქვით აზრი, რომ ᲜᲨᲘ იარმუკები უფრო იმისთანა ადგილებᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ კარგათა, რაცა სალოცავათ ᲠᲝᲑᲐᲡ ხოლმე ხალხი იკრიფება. ᲓᲣᲨᲔᲗᲨᲘ ᲗᲘ დღესასწაულია სამება მარიამობის 15-ს, ᲠᲓᲔᲡᲐᲪ დიდი ერობაა ხოლმე. ᲘᲡ დღე კაᲜᲘ საიარმუკო დღე იქნებოდა.

* * *

ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ აგერ სამი ოთხი თვეა პური ექვს ᲓᲐ აბაზათა ფასობს ფუთი. ᲖᲣᲛᲑᲠᲘᲓᲒᲐᲜ ᲘᲡ აღარ შემოდის: ამბობენ მეფოდრათეᲠᲘ ადგილობრივ კარგ ფასს აძლევენო და ᲡᲘ გარდა, ამბობენ, ᲐᲠᲤᲐᲩᲐᲘᲡ გაღმიდგან ᲛᲐᲚᲚᲔᲑᲘ გამოღმა აღარ უშვებენო. ᲐᲮ უᲜᲓᲝᲗᲘᲡᲔᲜᲝᲗ, რომ შორაგლის პური დიდ ᲘᲡᲐᲡ აძლევდა ქალაქსა. (შორაგალი არის ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ პატარა ნაწილი არფაჩაის გაღმა და ᲛᲝᲚᲛᲐ. ᲖᲐᲚᲛᲐ ოსმალოს უჭირავს, გამოღმა ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ)

* * *

ᲑᲐᲥᲝᲡ ᲚᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲡ წინადადება მიუცია ᲤᲝᲤᲚᲘᲡ საზოგადოებებისათვის, რომ თითო ᲐᲡᲐᲮᲚᲔ კაცმა, შეძლებისა მებრ, რამდენიმე გაᲛᲘᲯᲜᲝᲡ წელიწადში სასოფლო შკოლების ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲗ. ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲜᲐᲬᲘᲚ რუსის სოფᲚᲔᲑᲡ გადაწყვეტილება მოუხდენიათ, რომ ᲮᲔᲚᲘ მოუმართონ თავის შკოლებს და სადაც ᲐᲠᲘᲡ ᲯᲔᲠ, იქ გამართონ.

* * *

ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ 8-ს ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, დიდი მთავრის ᲐᲡᲘᲘᲡ ნამესტნიკის და სხვა სამოქალაქო ᲓᲐ სამხედრო მაღალი პირების თანადასწრᲔᲑᲘᲗ, სამხედრო ოლქის სასამართლო გაიხსნა.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ.

ᲒᲐᲛᲐᲡ წინეთ ჩვენ ეაცნობეთ მკითხველებს ᲐᲥ, ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, იყო ორი ქართული შიᲜᲐᲣᲠᲘ წარმოდგენა. წარსულს ორშაბათს, 23 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ იყო ᲖᲐᲚᲐᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ, ᲩᲘᲢᲐᲜᲝᲡ სახლებში. ᲐᲛ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ დამწერი ამ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲚᲔᲚ წარმოდგენაზე დაესწრო და ძლიᲐᲜ სასიამოვნო შთაბეჭდილებაც გამოიტანა; ᲠᲒᲝᲠᲪ შევატყეო, სხვებმაც სიამოვნებით ᲓᲐᲠᲔᲡ იქ დრო.

ᲛᲐᲠᲗᲚᲐ, ქართველი საზოგადოება მოკლეᲓᲔᲑᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ერთს საუკეთესო დროს გატარებას, ის მოკლებულია ქართულ თეატრს და ეს შინაური წარმოდგენები ცოტათი მაინც ასრულებენ იმის მაგიერობას. ᲐᲛᲐᲡ გარდა ეს შინაური წარმოდგენები მით არიან კიდევ კარგი, რომ იქ იკრიბებიან თითქმის ყველანი ერთმანეთის ნაცნობნი და, წარმოდგენას შემდეგ, ისინი თუ თამაშობით და თუ სიმღერით ატარებენ დროს. და, უეჭველია, რომ, სადაც მხოლოთ ერთმანეთის ნაცნობნი არიან; იქ გამოპრანჭვა, მომეტებული მორიდება და ეტიკეტი საჭირო არ არის. ᲔᲠᲗᲘ სიტყვით' ამ უკანასკნელ წარმოდგენას, როგორც წინანდელებსაც, სრულიად შინაური ხასიათი ჰქონდა: იქ იყვნენ მხოლოთ ის პირები, რომელნიც წარმოდგენის გამმართველებსა და მოთამაშებს დაეპატიჟნათ.

ᲗᲕᲘᲗᲝᲜ წარმოდგენაზე ბევრს არას ვიტყვით; და, მართალი გითხრათ, ᲩᲕᲔᲜ წარმოდგენებს იმდენ მნიშვნელობას არ ვაძლევთ, რამდენს საზოგადოების შეკრებას და ერთმანეთში შინაურულათ დროს გატარებას.

ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲔᲑᲓᲐ: „ᲯᲔᲠ ᲓᲐᲘᲮᲝᲪᲜᲔᲜ, ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲚᲓᲜᲔᲜ“, რუსულით ნათარგმნი თ. რ. ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐ, „ᲡᲪᲔᲜᲔᲑᲘ“ —უფ.***-ისა და „ᲫᲣᲜᲬᲘ“-თ. Ბ. ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐ. ᲐᲜᲢᲠᲐᲥᲢᲔᲑᲨᲘ იმღერიდა ვილაც, არა საქები, ქართველი მომღერალი. ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲗ ᲣᲠᲘᲒᲝᲗ არ არდგენდნენ და ის რომ მიეიღოთ სახეში' რომ თეატმორის ყვარულები არდგენდნენ, მაᲨᲘᲜ კიდევუფრო საქებიიქნება ამ პიესების ასრულება. ᲑᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ხელოვნებით და თითქმის ტალანტით თამაშობდენ—ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲐᲡ და იმერლის როლის მოთამაშენი (ᲫᲣᲜᲬᲘᲨᲘ,) ქვრივის მოთამაშე (სცენებში,) გლეხებისა-ᲘᲐᲙᲝᲑ ᲨᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ და გლახა ᲭᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ მოთამაშენი (სცენებშივე.)

„ᲫᲣᲜᲬᲘ და „ᲯᲔᲠ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ რამდენჯერმე უნახავს სცენაზე ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ. ᲣᲤ.***-ის „სცენების“ ნახვა კი პირველი იყო და, მართალი გითხრათ, მე არ მეგონა თუ წარმოსადგენათ ივარგებდენ ეს მშვენიერი „სცენები“, რადგანაც თეატრისათვის არ არიან დაწერილნი. მაგრამ, ჩემდა სასიამოვნოთ, მე მოვტყუვდი: თითქმის ყველა პიესებზე მომატებული ყურადღება იმას მიაქცია საზოგადოებამ და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამის მიზეზი მარტო ის კი არ იყო, რომ ამ „სცენებს“ პირველათ ხედავდა ჩვენი საზოგადოება. „სცენებს“ არა აქვს, მართალია, სცენური მოძრაობა, სასცენო ეფექტი, მაგრამ მის ნაცვლათ ყოველი სიტყვა მომქმედი პირებისა და ყოველი მათი მიხვრა-მოხვრა თვით ნამდვილი ცხოვრებიდან გამჭრიახე თვალით არის შენიშნული და ხელოვნური კალმით დაწერილი. ᲐᲘ, ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ „სცენები“ ასე მოეწონა საზოგადოებას.

ᲔᲠᲗᲘ პატარა შენიშვნა: ზოგიერთმა მოთამაშე რიგიანათ არ იცოდნენ თავის როლები და ამის გამო სუფლიორი ხანდისხან ძალას ატანდა ხმასა.

ᲔᲠᲗᲘ ნაკლულევანება ჰქონდა ამ საღამოს: ერთობ დიდხანს გაგრძელდა წარმოდგენა, რვა საათიდამ ვიდრე თორმეტის ნახევრამდი; ასე რომ საზოგადოება, ეტყობოდა, დაიღალა. ᲩᲕᲔᲜᲘ ფიქრით, რახანც სხვა შექცევებსაც აპირებდენ, ამდენი პიესები არ უნდა დაენიშნათ წარმოსადგენათ: ერთი ორ მოქმედებიანი კომედია და ერთიც ეოდევილი სრულიად საკმაო არის.

ᲐᲥᲕᲔ უნდა ვსთქვათ, რომ მოგვაბეზრა, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, თავი მუდამ ერთმა და ამავე პიესებმა: თუ ორიგინალურსა ვერ ვეღირსებით, სხვა ენებიდამ მაინც გადავთარგმნოთ რამე. ᲑᲐᲜᲐ ცოტა არიან ასეთნი, რომელთაც ᲩᲕᲔᲜᲘ საზოგადოება სიამოვნებით და არც უსარგებლოთ ყურს მოუსმენს?

ᲑᲝᲚᲝᲡ ᲕᲘᲜᲐᲢᲠᲘᲗ, რომ ამნაირი შინაური წარმოდგენები, თუ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, უფრო ხშირათ იყვნენ. ᲗᲕᲔᲨᲘ ერთი საღამოს გამართვა მაინც რომ იყოს შესაძლებელი, ძალიან კარგი იქნება. ᲩᲕᲔᲜ ᲕᲡᲗᲥᲕᲐᲗ—თუ შესაძლებელია—ამიტომ რომ ამ პატარა საღამოებსაც უნდება ხარჯი და შემოსავალი კი ნაკლებათა აქვს. მაშ შეძლებულებს ადევთ ვალი ხელი მოუმართონ ამ სასარგებლო და სასიამოვნო საქმეს. ᲗᲣ საღამოებს მრავალ გვარი ხასიათი ექნება, ე. ი. წარმოდგენებს გარდა, რომ წაიკითხონ რამე, იმღერონ, ან დაუკრან; მაშინ, დარწმუნებული ვართ, ეს საღამოები კიდევ უფრო გაცხოველდებიან და ამიტომ ის პატირა წრე საზოგადოებისა, რომელიც ახლა დაიარება, უფრო სიამოვნებით ივლის.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

—ᲔᲠᲗ რუსულ გაზეთში სწერენ, ᲔᲘᲗᲝᲛᲪ ამ მოკლე ხანში მმართებლობა დანიშნავს $7^1/_2$ მილიონს, შავ ზღვაზე სამხედრო ხოლმანდების გასაკეთებლათ.

ᲣᲕᲔᲚᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ქვეყნებში მიხვდნენ, რომ სწავლა და განათლება არის ერთი უმთავრეს სახსრებთაგანი, რომლის საშუალებით მხოლოდღა შესაძლებელია ხალხის გაძლიერება და იმის კეთილი ცხოვრება. ᲐᲛᲘᲡ გამოც ყველგან უმთავრესი ყურადღება ახლა ხალხის, იმ მდაბიო ხალხის განათლებაზეა მიქცეული, რომელზედაც ყოველი საზოგადოების ცხოვრება არის დამოკიდებული. ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ განსაკუთრებით მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი მას აქვთ, რაც იქ განწესდა ᲗᲔᲛᲝᲑᲐ (земство), რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ხალხი, თავის ამორჩეული პირების (гласный) საშუალებით, თვითონვე განაგებს ზოგიერთ თავის საქმეებს, მაგალითად, თემობა ზრუნავს ხალხის განათლებაზე, ჯანმთელობაზე (საექიმო ნაწილი იმის ხელშია), მეურნეობაზე და სხვა ოჯახობის საქმეებზე. ᲗᲐᲕᲘᲓᲒᲐᲜᲕᲔ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ სხვა და სხვა გუბერნიების თემობები შეუდგნენ სასოფლო შკოლების გახსნას და ᲑᲔᲕᲠᲒᲐᲜᲐᲪ გახსნეს, თავის საშუალებითა; მაგრამ მალე დარწმუნდენ, რომ ამ შკოლებისთვის იმათ ხეირიანი მასწავლებლები არა ᲰᲧᲕᲐᲜᲓᲐᲗ; ამის გამო ახლა უმთავრესი ყურადღება იმათ მასწავლებლების მომზადებას მიაქციეს და ამისათვის ᲑᲔᲕᲠᲒᲐᲜ ᲡᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲔᲑᲘ დააფუძვნეს, ე. ი. ისეთი სასწავლებლები, სადაც მასწავლებლებათ ზრდიან ახალგაზდა ყმაწვილებს.

ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲘᲡ თემობას დაუნიშნავს, ამ უკანასკნელ დროს, კომისია ამ ქალაქში სამასწავლებლო სემინარიის გახსნის თაობაზე მოსალაპარაკებლათ; ამ კომისიას გადაუწყვეტია ისეთი სამასწავლებლო სემინარიის გახსნა, სადაც ᲥᲐᲚᲔᲑᲘ უნდა მომზადდნენ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ Შ�კᲝᲚᲔᲑᲘᲡ მასწავლებლებათა. ᲐᲘ, რა საფუძვლები მოჰყავს ამ კომისიას თავის ყოვლათ გონიერი აზრის დასამტკიცებლათ:

1) ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ მაგალითი, სადაც სასოფლო შკოლებში თითქმის მარტო ქალები არიან მასწავლებათ და სადაც ისე არის განათლებული მდაბიო ხალხი, გვიმტკიცებს, რომ ქალებს საზოგადოთ ძალიან კარგათ შეუძლიანთ ამ ძნელისა და უსაჭიროესის საქმის წაყვანა.

2) ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲡᲐᲛᲐᲠᲘᲡ გუბერნიაში იმ შკოლებში, საცა ქალები ასწავლიან, უმეტეს ნაწილათ უკეთ მიდის სწავლა, ვიდრემ იმ შკოლებში, საცა კაცები ასწავლიან.

3) ᲥᲐᲚᲔᲑᲡ არა აქვთ იმდენი ლონის ძიება თავის დარჩენისათვის, რამდენიც აქვთ კაცებსა, რომელთაც ყველგან შეუძლიანთ სამსახური და ლუკმა პურის შოვნა, ამიტომაც, უეჭველია, რომ ქალები ამ საქმეს უფრო გულსმოდგინეთ მოჰკიდებენ ხელსა და ეცდებიან უკეთ წაიყვანონ.

4) ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ განათლება უფრო დაეხმარება ხალხში განათლების გავრცელებასა, ვიდრე კაცებისა: შენიშნულია, რომ თუ დედამ იცის ოჯახში წერა-კითხვა, იმის შვილებმაც უეჭველათ იციან; მამები კი ისე არასოდეს არ სცდილობენ ასწავლონ თავის შვილებს რამე, როგორც დედები.

* * *

ᲔᲠᲗს რუსულ გაზეთში სწერენ, რომ ᲭᲘᲖᲓᲠᲘᲡ თემობას გადაუწყვეტია თავის ხარჯით, ახალი ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ გახსნა. სასიამოვნო ამ საქმეში ის არის, რომ უმეტესი ნაწილი ამ თემობის წევრებისა ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ არიან და იმათ მოუხდენიათ ეს გადაწყვეტილება.

* * *

„ᲛᲗᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲘᲡ“ სიტყვით, 8 ნოემბერს, ქ. ᲣᲐᲖᲐᲜᲨᲘ გაუხსნიათ სამოსამართლო პალატა და ოლქის სასამართლო. ᲐᲮᲐᲚᲘ სასამართლოები ამ ქალაქში იმ წესითვე არიან გამართულნი, როგორც უმეტეს ნაწილს სხვა რუსეთის გუბერნიებში.

* * *

ᲙᲝᲕᲜᲝᲨᲘ შემდგარა ერთი საზოგადოება, რომელსაც ᲰᲥᲕᲘᲐᲜ სახელათ—„ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ“; ამ საზოგადოების მიზანი ის არის, რომ, როგორც თავის წევრებს, აგრეთვე გარეშე პირებსაც მისცეს, ბიბლიოთეკის შემწეობით, საშუალება წიგნების მოპოვების და კითხვისა. ᲘᲡ საქმე მით უფრო საჭირო და სასარგებლოა ᲙᲝᲕᲜᲝᲨᲘ; რომ იქ არც ერთი წიგნის მაღაზია არ არის.

* * *

ᲩᲔᲠᲜᲘᲒᲝᲕᲨᲘᲪ გაუმართავთ ᲡᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲐ, მაგრამ აქ მარტო ვაჟებს ამზადებენ მასწავლებლებათ.

* * *

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ საქმეების მინისტრს დაუმტკიცებია იმ საზოგადოების პროექტი, რომელიც შესდგა ამას წინეთ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ და რომლის მიზანი ის არის, რომ შეეწიოს ᲢᲔᲮᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ინსტიტუტის სტუდენტებსა. საზოგადოების შეწევნა იქნება იმაში, რომ ხელს გაუმართავს ფულებით ღარიბ სტუდენტებს და კურსის შესრულების შემდეგ ადგილს უშოვნის იმათა.

* * *

ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲛᲐ, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ რუსეთში ძალიან ცოტანი არიან მეურნეობაში გამოცდილი და ნასწავლი პირები, ოქტომბრის 28-ს, უმაღლესად ბრძანა: რომ შემდეგში გარეშე პირებსაც მიეცეს ნება ყველა მეურნეობის სასწავლებლებში ლექციების სმენისა და, კურსის შესრულების შემდეგ, იმათაც მიენიჭოთ ის უფლებები, რომელნიც თვითონ ამ სასწავლებლების სტუდენტებსა აქვთ.

* * *

„ᲠᲣᲡᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘᲡ“ სიტყვით, მოსკოვში შესდგა ერთი საზოგადოება, სახელათ „ᲐᲚᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ“. ᲡᲐᲖᲝᲗᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ თავის უსტავი წელს მარტში წარუდგენია მმართებლობისათვის დასამტკიცებლათ. ᲐᲛ უსტავის ძალით, აი რაში მდგომარეობს საზოგადოების მიზანი: მმართებლობას, ან რომელსამე კერძო პირს, რომელთაც ᲰᲡᲣᲠᲗ სახლის აშენება, მიჰმართავენ ამ საზოგადოებასა და შეიტანენ იქ იმ ფულების მეოთხედს, რომელიც გამოანგარიშებით შენობას დასჭირდება. ᲡᲐᲖᲝᲗᲐᲓᲝᲔᲑᲐ, თავის არხიტექტორებისა და ტეხნიკების საშუალებით, შეუდგება სახლის შენებას და დანიშნულ ვადამდი დაამზადებს. ᲘᲡ ფულები, სამი მეოთხედი, რომელიც სახლის პატრონზე დარჩება, 25 წლის განმავლობაში უნდა გადიხადოს; გირაოთ საზოგადოებისაგანვე აშენებული სახლი იქნება.

ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ

ᲞᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐᲖᲔ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲞᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘᲡ დარღვევა ყველაზე უფრო ახლოს ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ, ᲘᲜᲒᲚᲘᲡ და ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲡ შეეხება და ამიტომაც ამ ᲡᲐᲛᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲑᲔᲑᲛᲐ მიაქციეს უმთავრესი ყურადღება თ. ᲑᲐᲠᲩᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘᲐᲠᲘᲡ, რომელშიაც გამოცხადებული იყო, რომ რუსეთი არა სთვლის თავის თავს ვალდებულათ დაემორჩილოს შემდეგში ამ ტრაქტატის პირობებს. ᲔᲠᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲠᲘᲣᲚᲘᲡ გაზეთში დაბეჭდილია ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ პასუხი ᲑᲐᲠᲩᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘᲐᲠᲘᲡᲐ, რომელიც 21 (9) ნოემბერს გაუგზავნია ვეზირს ᲐᲚᲘ-ᲤᲐᲨᲐᲡ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ. ᲘᲡ პასუხი სრულებით ისე სასტიკათ და მკაცრათ არ არის დაწერილი, როგორც ამბობდენ. ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ მმართებლობა აცხადებს

თავის ნოტაში სხვათა შორის, რომ, სანამ სხვა სახელმწიფოები არას იტყვიან, ის თავის თავათ არავითარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს. Italiaის გარეშე საქმეების მინისტრს,— Visconti Venostasაც,— გაუგზავნია Petersburgში პასუხი თ. Gorჩაკოვის ცირკულიარზე. Ამ პასუხიდამ არა სჩანს, რომ Italiaის მმართებლობა უკმაყოფილოთ იყოს Rუსეთზე Parizის ტრაქტატის დარღვევისათვის. Visconti Venostaა ამბობს, რომ ის ყოველ ღონისძიებას იხმარს კონფერენციის შეკრებისათვის, რომელმაც უნდა გადახედოს 1856 წლის ტრაქტატები. (Telegრამმებში ნახავს მკითხველი, რომ კონფერენცია Londonში შეიკრიბება).— ზოგიერთი გაზეთები, განსაკუთრებით Inგლისური და Avსტრო-Venგრიული, ძალიან გაცხარებული არიან Rუსეთზე Parizის ტრაქტატის დარღვევისათვის. Ერთს Londonის გაზეთში დაბეჭდილია ამის თაობაზე სტატია, რომელსაც დიდი ყურადღება მიაქცევს London-ში. Es სტატია სხვათა შორის ამბობს, რომ ჩვენ ახლავე, დაუყონებლივ, უნდა შევიტყოთ—Prusiiის თანხმობით და თანაგრძნობით მოქმედებს Rუსეთი, თუ არაო. Mდო Rოსელმა, რომელიც Versalში გ'გზავნილი, გადაჭრილი პასუხი უნდა მიიღოს Prusiiisაგან—ჰსურს ამ სახელმწიფოს „სხვებთან ერთად განუცხადოს Rუსეთს, რომ იმას არა აქვს უფლება დაარღვიოს ის ტრაქტატი, რომელიც თვითონვე მიიღო—თუ არაო. Mუ Prusia ჩვენ მხარეს დაიჭერს, მაშინ შეიძლება მორიგება მოხდეს და ომიანობას ავსცდეთ, და თუ Prusiamმ Rუსეთის მხარე დაიჭირა, მაშინ ომიანობა აუცილებელი საქმეაო. ჩვენ იმიტომ გვინდა გადაწყვეტილი პასუხი შევიტყოთ Prusiiisაგან, რომ ომის დაწყება შეგვეძლოს იმ დრომდი, სანამ ეს სახელმწიფო გართულია საფრანგეთთან ბრძოლაში. Mუ Prusiamმ Rუსეთის მხარე დაიჭირა, მაშინ Inგლისი, Avსტრია, Venგრია, Mსპალეთი და შეიძლება Italiaც შეერთდებოდნენ ერთად და დაეცემოდნენ Rუსეთს. Prusiaს კი არ ეცალებოდა, სანამ საფრანგეთს ეომება.

— Mომიანობის მოლოდინის გამო, ჩვენი მკითხველებისთვის საინტერესო იქნება Inგლისის სამხედრო ძალის გაცნობა. Ამ ჟამად Inგლისში არის: ქვეითი ჯარი—59,000 კაცი, ცხენოსანი (კავალერია)—11,500, არტილერია—14,000 და საპიორები—3,300. Ამ ჯარს აქვს 180 არმსტრონგის და 50 უბრალო ზარბაზანი. Amას გარდა Inგლისში ითვლება—80,000 ვოლონტერი და 20,000 რეზერვის ჯარი. Mაშასადამე პირველ შემთხვევაში ომიანობის დროს Inგლისს 190,000 ჯარის გამოყვანა შეუძლია ბრძოლის ველზედ.

— Ერთს ინგლისურს გაზეთში სწერენ, რომ Mსმალები სრლიად მზათ არიანო სიომრათ. Iმათ შეუძლიათო ურიცხვი არმია გაგზავნონ Shავ-ზღვაზედ და დაიჭიროონ Yირიმიო (?), სადაც ამჟამათ არც ერთი ციხე არ არის; მხოლოდ Perეკოპი გაამაგრონ და Yირიმის დაჭერას ადვილათ შეიძლებენო. Iმათი არმია უწინდელზედ უკეთ დაიარაღებული და გაწვრთნილიაო. Esვე გაზეთი ბოლოს ამბობს, რომ საეჭვოა რომ ეს ატეხილი საქმე Mშვიდობიანათ გათავდესო; ამისათვის ეს გაზეთი აუწყებს ყველა ამ საქმეში გარეულ სახელმწიფოებს, რომ იმათ, რაც შეიძლება, ენერგიულათ, გაბედვით და სიჩქარით იმოქმედონ.

— Mეორე ინგლისური გაზეთიც ძალიან აქებს ლორდ Grენვილის ნოტას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ Inგლისის Mმართებლობას არ შეუძლიაო გაამართლოს Rუსეთის მოქმედება; მაგრამ ეს გაზეთი იმაზედ სწუხს, რომ დეპეშაში, რომელიც პასუხათ იყო გაგზავნილი, არაფერი არ იყო ნათქვამი, თუ რა გზას ადგას Inგლისი, რომ Rუსეთმა Parizის ტრაქტატი დაარღვიოს. Amავე გაზეთის სიტყვით, ხონთქარი ყოველ ღონისძიებას ხმაროობსო, რომ ენერგიულათ უწინააღმდეგოსო Rუსეთის თხოვნასა; თუმცა კი ეს გაზეთი ეჭვობს, ამ ატეხილ საქმის მშვიდობიანათ გათავებაზედ, მაგრამ მაინც შეიძლებოდაო უმთავრესი სახელმწიფოების დაკმაყოფილება, ისე რომ არაფერი სათაკილო არ იქნებოდაო Rუსეთის ღირსებისათვის. Rუსეთისათვის ძნელიაო, რომ თავის ღირსების დაუმცირებლათ გაათავოს ეს საქმ; არვიცით რაზედ არის დამყარებული მისი იმედი, და კიდეც ვფიქრობთ, რომ იმისთვის ძალიან გასაჭირი იქნება ერთათ შეერთებულ Inგლისს, Avსტრიას, Mსმალოს და იქნება Sკანდინავიის სახელმწიფოებთან ომიანობა. Es გაზეთი ურჩევს მმართებლობას, რომ არას გზით არ მოახდინოს მორიგება, რომელიც დაამცირებს Inგლისის ნაციონალურ ღირსებას, ყოველი ღონის ძიება იხმაროს, რომ საომრათ დაუყოვნებლივ მოემზადოს.

— Inგლისის მმართებლობას ჰსურს შეიტყოს ნამდვილათ, რა გზას და ვის მხარეს დაიჭერს Aმერიკის შეერთებულ Mტატები იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოები, რომელთაც Parizის ტრაქტატებზედ ხელი მოუწერიათ, უწინააღმდეგდენ Rუსეთის თხოვნას, და ან რამდენათ მართალია ხმები, რომ ვითომც Rუსეთსა და Aმერიკას შუა კავშირი იყოს.

— Rუსეთისგან ტრაქტატის დარღვევაზე ლორდ Grენვილის პასუხი, ერთი გაზეთის სიტყვით, ძალიან Mშვიდობიანი და უწყინარი იყო. „Mაშინ როდესაც“—ამბობს გაზეთი—„მთელ Eეროპას უნდა ეცადნა რამე საშუალებით მოესპო ეს საშინელი სისხლის ღვრა, Rუსეთმა განიძრახა ტრაქტატის დარღვევა. Inგლისს ძლიერი Fლოტი აქვს შუა ძვეყნის ზღვაში, რომლითაც შეუძლია გაუჭირეოს საქმე Rუსეთის Bალტიის და Shავ ზღვის ნაპირებს.

— „Delილ-Nოის-ში“ დაბეჭდილია Petersburgიდამ მოსული, 7-ნოემბრის დეპეშა: „Aქ ამბობენ, ვითომც ყველაფერი Mშვიდობიანათ მორიგდებაო. Mაგრამ Rუსეთი მაინც არ ანებებს თავს თავის გადაწყვეტილებას Parizის ტრაქტატის თაობაზე, თუმც საომრათ გაუხდეს საქმე.“

— „Delილ-Tელეგრაფ“-ში დაბეჭდილია დეპეშა Venიდან: „Bეჯითი წყაროებიდან გვაცნობებენ, რომ Rუსეთში მოუტანიათ Aმერიკიდან 540 კარტეჩნიცა Gატლინგის სისტემისა. Aგრეთვე ამტკიცებენ, რომ Rუსეთს ამჟამათ 40 ორთქლის ხომალდი აქვსო, რომლებიც სევაჭროთ ირიცხებიან, მაგრამ გასაჭირში შეიძლება Sამხედრო ხომალდებათ გამოიყენონო, რადგანაც იმათზე Sამხედრო მატროსები მსახურებენო. Ამ გაზეთში მოყვანილია, რომ Aვსტრია ემზადება გაგზავნოს სამას ათასი კაცი ჯარი აღმოსავლეთის სამზღვრებისაკენო.

— Aი როგორი შენიშვნა არის დაბეჭდილი ერთს ოფიციალურ Venის გაზეთშიდ ამ უკანასკნელი ხმების თაობაზე: ჩვენ გუშინ ვამბობდით, რომ საზოგადოებაში ხმა გავარდნილა, ვითომც Aვსტრიის Mართებლობა ემზადებოდეს საომრათ და ვაუწყებდით საზოგადოებას, რომ ამისთანა ხმები ძნელათ დასაჯერებელია. Mაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, ეს ხმები ჯერაც არ მოისპო. Aმისათვის კიდევ მეორეთ საჭიროთ ვრაცხთ ვთქვათ, რომ ყოველი ამ გვარი ხმები სრულიად უსაფუძვლონი არიან.“

Mომის ამბები

Mეცის დაჭერის შემდეგ, ნემცებმა იქ მყოფი ჯარი შუაგულ საფრანგეთისაკენ გამოგზავნეს; ერთი ნაწილი ამ ჯარისა Parizიდან უნდა მისულიყო, მეორეს—Mანტეფეილის არმიას, უნდა ემოქმედნა ჩრდილოეთის საფრანგეთისაკენ და Fრიდრიხ Karლის არმიას სამხრეთისაკენ. Mაგრამ Lუარის არმიამ და იმისგან Mრლეანის წართმევამ დაურღვია იმათ ეს პლანები. Rოცა Mრელ-დე-Pალადინი თავის Lუარის არმიით შარტრს და Dრეს (Parizის დასავლეთით) მიადგა, ნემცებმა იფიქრეს, რომ უთუოთ იმას Bრეტანის (Kერატრის) და ჩრდილოეთის (Bურბაკი) არმიებთან უნდა შეერთება და Parizის მოშველებაო, და ამის გამო Mანტეფეილისა და Fრიდრიხ-Karლის არმიებიც პირდაპირ Parizს მიადგნენ: ერთი ჩრდილოეთით და მეორე სამხრეთით. Mეკლენბურლის გერცოგმა კი Lე-Mანსისაკენ გასწია (დასავლეთისაკენ); იმან იქ უნდა უყარაულოს Lუარის არმიას, რომელიც Mრლეანთან დგას. (ნახე ტელეგრამმა) Aმ ადგილებში, Dრეს ახლოს Bრეტანიის ატრიადებთან, ყოფილა პატარა შეტაკება, სადაც ნემცებს გაუმარჯვნიათ. Gაზეთებიდამ სჩანს, რომ ჯერ Lუარის არმია ვერ შეუერთდა Bრეტანისას და სამხრეთისას. საუბედუროთ, ვერც Parizიდამ გამოსული Dიუკრო მოახერხებს Lუარის არმიასთან შეერთებას, რადგან ის სულ სხვა მხრით, Parizის აღმოსავლეთით, დგას თავის არმიითა, Venსენის ტყეში. Fრანცუზების პლანი დასურვილი ის არის ეხლა, რომ რაც Parizის გარეთ ჯარია (Lუარის, Bრეტანის, Dიუკროს და ჩრდილოეთის) შეერთდენ და დაეცნენ იმ ნემცების ჯარს, რომელიც Parizს გარეშემო არტყია. Aმ დროსვე Parizიდამაც უნდა გამოვიდნენ ფრანცუზები და ორივე მხრით შემოესივნენ ნემცებს. Mუ ამ პლანის როგორმე შესრულება მოუხდათ ფრანცუზებს, მაშინ, უეჭველია, იმათი საქმე გაკეთებული იქნება.

— Rოგორც 2 (14) ნოემბრის Inგლისის გაზეთების ტელეგრამებიდან სჩანს, იქ დაუყრიათ ხმები, რომ Dიჟონი ისევ უკან დაიბრუნეს Fრანცუზებმა.

— Mუ მკითხველს ახსოვს, ერთ უწინდელ „Dროების“ N-ის „Mომის ამბავში“ იყო ნათქვამი, რომ Gარიბალდის ჯერ არ მოსვლოდა შეპირებული არტილერია. Eხლა, როგორც ერთი გაზეთის კორრესპონდენტი, რომელიც Gარიბალდის არმიაში არის, იწერება, ამ ჟამად იმას მოსვლიაო ერთი მინვდრის არტილერიის ბატარეია და რამდენიმე Sპენსერის სისტემის თოფები, რომლებიც მიღებისათანავე დაურიგებიათ მოძრავი გვარდიისათვის.

— 6 (18) ნოემბერს Venენეაში მიღებულ ამბებიდან სჩანს, რომ Tურიდან მოსვლია მიწერილობა Lიონის გაზეთებს, რომ არაფითარი ამბავი არ დაბეჭდონ შესახებ Fრანცუზის ჯარების მოძრაობაზედ. Aმ მოწერილობიდან გაზეთებს გამოჰყავთ ის დასკვნა, რომ Lიონს რამ ამბავი უნდა მოელოდეს.

Aმ კვირის ტელეგრამები.

23 ნ ო ე მ ბ ე რ ს

— Gენერალმა Dიუკრომ გააპო Gერმანიის ჯარი და მიდის Lუარის არმიასთან შესაერთებლათ.

24 ნ ო ე მ ბ ე რ ს.

— Kონფერეცია შეიკრიბება Lონდონში.

— Pრუსიის ჯარი ჩრდილოეთის საფრანგეთში თან და თან უკან ისწევს. Lუარის არმია დაბრუნდა თავის უწინდელ ალაგზე, Mრლეანის წინ.

— Aოსტის გერცოგი დათანხმდა Eსპანიის ტახტზე შესვლას. (*)

(*) Aმ საქმეზე მოლაპარაკების დროს Eსპანიის Kორტესებში,—191 კენჭი ერგო Aოსტის გერცოგს (Italiaის კოროლის-Viქტორ Eმანუილის შვილს,) 63 მწევრმა რესპუბლიკის სასარგებლოთ მისცა ხმა, 27 კენჭი ერგო გერცოგ Mონპანსიეს, 2 Aლფონსს, Iზაბელას შვილს.

25 ნ ო ე მ ბ ე რ ს.

— Lუარის არმია უკან დაისწია; Prusiiiლებმა ხელმეორეთ დაიჭირეს Mრლეანი, რძოლველათ.

— Gენერალმა Dიუკრომ აიღო ხიდები მ ნზე; ის დაბანაკდა, თავის ჯარით, Venსენ ტყეში.

ნ ა რ ე ვ ი

* * *

Eრთს ჩვენ ქალაქში ერთმა მდიდარმა კაცმა, რომ სამე გარემოებისათვის სახალხოთ, Bაზარში თავის მსახ აცემინა მედუქნისათვის, ცხენის მათრახებითა; უკანასკ პირველზედ ხელი არ გაუშოლია და, თუნდ გამოელო, იქმოდა საწყალი, როდესაც ერთმა მათრახის დაკ არეტიანა. Rოდესაც ცემას მორჩენენ და ორივე მხარ იქით გავიდ—გამოვიდნენ, საიდგამღაც გაჩნდა ადეო და უთხრა მედუქნეს: „Nუ გეშინიან, მე ამოგაყრ იმის ჯავრსა, ოღონდ შენ...“ Mეორე დღეს ეს ვოკატი მივიდა მდიდართან და ამიდებდა: „ასე დაგავლო ეგ საქმე თავსა, ვითომც აქ არაფერი მ დარაო, შენ ოღონდ... შენ რომ იცი, Nუ დაზოგ Rოგორი ადვოკატები გვყოლია ჩვენა და რით გ დება ეს საქმე—ეს თვითონ მკითხველი დაფიქ და იმან გამოიცნოს.

—

Gორის უეზდის ერთს სოფელში ერთი კაცი—Aნ გაჭირვეულდა და დაუწყო კალთების წევა Bანსა, და თუ არა, უნდა უთუოთ დამეჭიდოვო. Bანი ეხ ბოდა, მე ჭიდაობის თავი არა მაქვსო და არც ბრძოლა შემიძლიანო, სად შენა მაგოდენა კაცო სად მე ერთი ბეწვაო, შენ რომ მოინდომო, მე ე დამამტვრევო—და დაუწყო კალთების შევინება, მაინც იმის ხვეწნა არ შეისმინა და ქუდი წაართვა, დამეჭიდები, მოგცემ, თუ არა და არაო. Rა ექნა ყალს Bანს, ნებით თუ უნებურად, დაეჭიდა Aნ ეს უკანასკნელი ისე დასცა ძირსა, რომ ფეხი კ მოსტეხა და, ფეხს ვიღა ჩივის, აღარც კი უშვებდ გილიდგან, რომ ამდგარიყო. Dაუწყო ახლა Aნმა ნა, ოღონდ ამიშვიო და აი შენს ქუდს ჩემს ქ დავადებო და ისე მოგართმევო; Mაგრამ ამაოდ, არ აუშვა, სანამ ქუდიც და ჩოხაც არ წაართ ერთი კარგაც არ დაჰპატიჟა სადილზედ.

—

Eრთი Sამეგრელოს ქვეყნიდგან Aნი წავიდა დ Bაში სოფელს B-ს. Aქ შეატყეს, რომ ის უცხო იყო და დაჰპატიჟეს. Sუფრაზედ მასპინძელი ძ პირფერად მოექცა Aნსა ისე, რომ უკანასკნელი ჰ რობდა პირველზედ, განა ჩემთვის ამაზედ კარგ კეთილის მყოფელი ვინმე იქმნებაო, Mაგრამ კეთ მყოფელს სხვა ჰქონდა გულში: იმას ქალის მითხ ედვა გულში, იცოდა რომ ის Sამსახურის კაცი და კარგათ არჩენდა. Mასპინძელმა თავისი ლირფ ბითა კიდეც აასრულა თავისი ნდომა. Iმ ღამეს კ გამიათრო, ბლომს მზითევსა და ფულს დაჰპირ ჯვარიც გადაწერინა. Mეორე დღეს მისი მზიეე დმცირდა, რომ ისევ ქვეითი გამოისტუმრა და ხუთ გზაზედ ცხენიც არ ათხოვა იმ კარგმა და კეთ მყოფელმა ახალს სიძესა.

Dავით Bარნაბისშვილ

* * *

Eრთს გაზეთში, მოყვანილი რომ Aვსტ უცთიათ სამი სისტემის მიტრალიეზა: Fელდლიანი ტლინის და Mონტინისა და დარწმუნებულან, რომ ტინის სისტემის მიტრალიეზას, რომელიც 600 ისვრის მინუტშიდ, უჯობნია დანარჩენი ორის მ მის მიტრალიეზებისათვის, რომლებიც მინუტშიდ სროლას მეტს ვერ ახერხებენ. Aმბობენ, რომ ტახანში უნდა დამზადდესო 83 მიტრალიეზა ნის სისტემისა გონვედების არმიისათვის.—

Gანცხადება

Sოჩტის ქუჩაზე, სემინარიის პირდაპირ, Zუბალოვის სახლში, გაიმართა

Sამწიგნოგბრო და საკითხავი ოთახი

I. I ვ ა ნ ო ვ ი ს ა.

Fასი

Wიგნების წაღება შინ საკითხავათ ღირს, თვეში — — — — — — — — — ათი შაური

Mითო წიგნის წაღება, დღეში — — — — — — — — — — — Eრთი შაური

Wიგნების და გაზეთების კითხვა საკითხავ ოთახში, თვეში — — — — — — Aთი შაური

— — „ — — „ — — „ — — „ — ერთჯერ — „ — — — — Eრთი შაური

Sამწიგნობრო და საკითხავი ოთახი ღიაა დილის ცხრა საათიდან საღამოს ცხრა საათამდე.

Wენიშვნა: წიგნების დარიგება Dეკემბრის პირველს დაიწყება.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Ноября 1870 г. S. Mელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი, S. Mესხი. Gამომცემი S. Mელიქიშვილ